ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 577

“22” ნოემბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, შარტავას ქუჩა N14ა-ს მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.13.017.033) პირდაპირი განკარგვის წესით ელისო სარაულისთვის (პ/ნ: 01003003397) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა „ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა №14ა-ს მიმდებარედ არსებული, 4 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.017.033) პირდაპირი განკარგვის წესით, ელისო სარაულისთვის (პ/ნ. 01003003397) იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 6 ნოემბრის №24.1835.2067 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, შარტავას ქუჩა №14ა-ს მიმდებარედ არსებული 4 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.017.033) პირდაპირი განკარგვის წესით ელისო სარაულისთვის (პ/ნ. 01003003397) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, კიბის უჯრედის ფუნქციონირების მიზნით.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 576 (ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით, იჯარის მოქმედების ვადა განისაზღვროს 5 (ხუთი) წლით და ამოქმედდეს 2024 წლის 25 დეკემბრიდან.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე